

სიორენ კირკეგორი

Søren Kierkegaard

მეცდურის დღიურები

The Seducer's Diary

თარგმანი ინგლისური ენიდან:

რატი ბაინდურაშვილი

გამომცემლობა „აქტი“

თბილისი / 2025

„მაცდურის დღიურები“ აღწერს მთავარი გმირის მიერ შექსპირისეული სახელის მქონე გოგონა კორდელიას აღმოჩენას, რომლის კონტროლსაც ცდილობს იგი. რთულად, ზედმიწევნით, ეშმაკურად მიმდინარეობს ცდუნება. არცერთი დეტალი არ არის იმდენად უმნიშვნელო, რომ მთავარ გმირ იოჰანესს გამოეპაროს.

რისი ეშინია სიყვარულს? – შეზღუდვის.

ერთდროულად მომხიბვლელი ისტორია და ყოფიერების ჩახლართულობების ფილოსოფიური შესწავლა – „მაცდურის დღიურები“ ასევე კირკევორის საკუთარი რომანტიკული წარუმატებლობის მძაფრი რეკონსტრუქციაა.

მოცემულ ნაშრომში კირკევორი ქორწინებისა და ურთიერთობის, ეთიკისა და ესთეტიკის მძიმე საკითხებზე ფიქრობს და მსჯელობს.

ითარგმნა გამოცემის მიხედვით: PENGUIN BOOKS, 2004

მთარგმნელი: რატი ბაინდურაშვილი

სამეც. რედაქტორი: დავით ცომაია

რედაქტორი: გოგი სალიაშვილი

დიზაინი: ანა ბრაჭული

გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2025

ვებგვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-8316-3

სარჩევი

მაცდურის დღიურები.....	5
„აქტი“-ს მიერ გამოცემული ს. კირკეგორის წიგნები.....	231

Sua passion' predominante
È la giovin principiante.
Don Giovanni, Act I.¹

არ ძალმიძს იმ გაჭირვებით დამორჩილებული შიშის შენი-
ღბვა, რომელსაც ამ მომენტშიც კი მარწუხებში ვყავარ მოქცე-
ული, ახლა, როცა პირადი ინტერესების გამო ნაჩქარევად შეს-
რულებული ჩანაწერის წესიერი ასლის გაკეთებას ვცდილობ.
მისი შემონახვა ერთ დროს დიდი ფაციფუცითა და მღელვა-
რებით მოვახერხე. შექმნილი ვითარების წინაშე მე კვლავაც
ისევე შეშფოთებული, ამდენადვე კი გაკიცხული ვდგავარ, რო-
გორც – უწინ. საკუთარი ჩვეულების საწინააღმდეგოდ, საწერი
მაგიდის უჯრები არ დაეხურა, მაშასადამე, მისი მთლიანი შიგ-
თავსი ჩემს განკარგულებაში აღმოჩნდა; თუმცა, ვფიქრობ, ამა-
ოა ჩემი ქცევის შელამაზება მაშინაც კი, თუ გავიხსენებ, რომ
თავად არცერთი უჯრა არ გამომიღია. მოკლედ, ერთი მათგანი
გამოწეული დამხვდა. მასში ფურცლების გროვა ეწყო, ზემოდ-

1. „მისი გაბატონებული ვნების ობიექტი ერთი დამწყები ახალგაზრდ-
აა“ (იტა.) (მოცარტის დონ ჯოვანის მეთოთხმეტე არია).

ან კი განიერი, გემოვნებიანად აკინძული ინ-კვარტო ფორმატის მქონე წიგნი იდო. ყდაზე თეთრი ფურცლის ვინიეტი² ეკრა, რომელზეც საკუთარი ხელით დაეწერა: *Commentarius perpetuus* No. 4³. მე კი კვლავაც ამაოდ ვცდილობდი, საკუთარი თავისთვის დამეჯერებინა, რომ, თუ თვალში პირველად წიგნის ეს მხარე არ შემეჩხებოდა და ეს უცნაური სათაური არ მიმიზიდავდა, ცდუნებას არ ავყვებოდი ან ვეცდებოდი მაინც, რომ ამ უკანასკნელს გავცალიანებოდი. სათაური თავისთავად უცნაური იყო, მაგრამ ამ უცნაურობას ნაწილობრივ შექმნილი გარემოც განაპირობებდა. ფურცლებზე თვალის გადავლებით აღმოვაჩინე, რომ მათზე ეროტიკულ სიტუაციათა აღწერილობები, გარკვეულ ურთიერთობებზე გაკეთებული მინიშნებები და ერთი საკმაოდ უჩვეულო პიროვნების წერილთა მონახაზები იყო დატანილი, რომელთაც მოგვიანებით თავის მხატვრულ სრულყოფილებაში წინასწარგანზრახული უზრუნველობით გავეცანი. ახლა კი, როცა ამ მანკიერი ადამიანის ჭეშმარიტი, მუხანათური გონება ამოვიცანი, ჩემს სიტუაციას ხელახლა ვიხსენებ; როცა გონებაში უჯრას მთელი სიფრთხილით ვუახლოვდები, თავს ისე ვგრძნობ, როგორც გამომძიებელი, რომელიც გამყალბებლის ოთახში შედის, საცავს აღებს და ფურცლების გროვითა და ხელნაწერის ნიმუშებით სავსე უჯრას პოულობს. ერთ ფურცელზე ფოთლებიანი ორნამენტის ნაწილია, მეორეზე – ხელმოწერა, მესამეზე კი – ერთ ხაზზე დატანილი შებრუნებული ნაწერი. ამით იგი გრძნობს, რომ სწორ კვალზე დგას, მის სიხარულს გარკვეულწილად საქმისადმი და, ზოგადად, მოვალეობისადმი აღტაცებაც ურევია, რაც აქ ნათლად ჩანს.

2. წიგნის (ხელნაწერის) ან მისი რომელიმე ნაწილის თავში, ან ბოლოში დართული ორნამენტი, ნახატი (ფრ.).

3. მიმდინარე კომენტარი ნომერი 4 (ლათ.).

ჩემს შემთხვევაში ყველაფერი ოდნავ სხვანაირად იქნებოდა, მე ხომ ნაკლებად ვარ მიჩვეული კრიმინალთა დევნას, თანაც არც პოლიციის სამკერდე ნიშნით ვარ აღჭურვილი. ამასთან ფაქტი, რომ უკანონო გზით მრავალჯერ მიმოქმედია, გონებას კიდევ უფრო მიძიმებს. ამ შემთხვევაშიც, როგორც ჩვეულებრივ ხდება, აზრები სიტყვებზე არანაკლებ მეფანტებოდა. ხანდახან ისეც ხდება, რომ გარკვეული შთაბეჭდილება ადამიანში იქამდე რჩება, სანამ რეფლექსია თავს არ წარმოაჩენს და სწრაფ, სხვადასხვაგვარ მოძრაობაში ვინმე უცნობის კეთილგანწყობას მოიპოვებს, შემდეგ კი მასთან საუბარში არ ჩაებმება. რაც უფრო ვითარდება რეფლექსია, მით უფრო სწრაფად ძალუძს ამ უკანასკნელს მოქმედების დაწყება; მსგავსად იმ მეპასპორტისა, რომელსაც უცხოელ მოგზაურებთან უწევს თანამშრომლობა და იმდენად არის გამოჩენილ ფიგურათა ხილვას ჩვეული, რომ აღარაფერი აბნევს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი საკუთარი რეფლექსია ესოდენ განვითარებულია, თავდაპირველად მაინც ფრიად გაკვირვებული დავრჩი. კარგად მახსოვს, როგორ დავკარგე გონება, როგორ შემძრა ამ ფაქტმა და ლამის წავიქეცი კიდევ. რა მეშველებოდა, თუ სახლში დაბრუნდებოდა და უგონო მდგომარეობაში, გულწასულს, უკრით ხელში მიპოვიდა? სხვა თუ არაფერი, ავ სინდისს ის მაინც შეუძლია, რომ ცხოვრება ბევრად საინტერესო გახადოს.

თავად წიგნის სახელწოდებამ ჩემზე ვერანაირი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა; ვიფიქრე, ნაწყვეტთა კრებული იყო, რაც ჩემთვის საკმაოდ ბუნებრივი ჩანდა, ვინაიდან ვიცოდი, თავის კვლევებს ის ყოველთვის ენთუზიზმით ეკიდებოდა. თუმცა მისი შიგთავსი სრულებით სხვა სახისა აღმოჩნდა. ეს, არც მეტი, არც ნაკლები, გულმოდგინედ შემონახული დღიური იყო; რამდენადაც, იქიდან გამომდინარე, რაც აქამდე მის შესახებ ვიცოდი, არასდროს მიფიქრია, რომ მისი ცხოვრება ასე

ძლიერ საჭიროებდა კომენტარის დართვას, არ უარვყოფ, ამის გაცნობით დავასკვნენ: სახელწოდება გემოვნებით იყო შერჩეული – ჭეშმარიტი ესთეტიკის გათვალისწინებით, საკუთარი თავისა და არსებული ვითარების ობიექტური განსჯით. სათაური მთლიან შიგთავსთან სრულყოფილ ჰარმონიაშია. მთელი მისი ცხოვრება ერთი მცდელობა ყოფილა იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა პოეტური გზით. მკვეთრად განვითარებული გრძნობით, რომელიც მას საშუალებას აძლევს, შეიცნოს, რა არის ამქვეყნად საინტერესო, შეიტყუოს, თუ როგორ იპოვოს ეს უკანასკნელი, შემდეგ კი ნახევრად პოეტური გზით ეს გამოცდილება კიდევ და კიდევ, მუდმივად გაიმეოროს. მაშასადამე, მისი დღიური ისტორიული სიზუსტის, უშუალო მოვლენათა აღწერის ან მხატვრული მანერის ნაცვლად სუბიექტური განწყობით არის დაწერილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოცდილება მას შემდეგ იქნა შემონახული, რაც უკვე მოხდა (ზოგჯერ, შესაძლოა, მომხდარიდან საკმაო დროის შემდეგაც კი), ისე აღიქმებოდეს, თითქოს ეს ზუსტად ამ წამს ხდება, ისეთი დრამატული მკაფიოობით, რომ ადამიანი იფიქრებს, ყველაფერი მის თვალწინ მიმდინარეობს. მაგრამ იმის დაშვება, რომ ეს ქმედება დღიურის ფარულ მიზანს ემსახურება, ფრიად წარმოუდგენელია. ცხადია, ულაპარაკოდ, დღიურს მნიშვნელობა პირადად, მხოლოდ მისთვის გააჩნდა. იმის დასკვნა კი, რომ, რაც ახლა ჩემ წინაშე ძევს, ეს ლიტერატურული ნამუშევარია, რომელიც შეიძლება გამოსაქვეყნებლადაც კია გამზადებული, როგორც მთლიანობაში, ასევე წვრილმანებითაც გამორიცხულია. რასაკვირველია, გამოქვეყნებისა სულაც არ უნდა შეშინებოდა, რადგან სახელებისა და გვარების უმეტესობა იმდენად უჩვეულოა, რომ მათი სარწმუნოების აღბათობა თითქმის არ არსებობს. მაგრამ, მიჩნდება ეჭვი, რომ ნათლობის სახელები მათ უკან მდგომ რეალურ პიროვნებათა სახელებს ემთხვევა.

ამის მიზეზი, ერთი მხრივ, ის არის, რომ ამით მათ ამოცნობას შეძლებდა, მეორე მხრივ კი, ყველა სხვა უცნობ მკითხველს, სახელთა ჭეშმარიტი ბუნების მიუხედავად, ამ პიროვნებათა გვარები უთუოდ დააბნევდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს იმ გონას მაინც ეხება, რომელზეც მთავარი ინტერესია მიმართული, კორდელია – ეს იყო მისი ნამდვილი სახელი, თუმცა არა – ვალი (Wahl)⁴.

მაშ, როგორ ავხსნით იმას, რომ, ყველაფრის მიუხედავად, დღიურს ასეთი პოეტური სურნელება დაჰკრავს? პასუხი არც ისე რთული გასაცემია; ამის ახსნა იმ პოეტური ტემპერამენტით ძალგვიძს, რომელიც არც ისე მდიდარი, ან, თუ ასე გიჟობთ, არც ისე ღარიბია, რომ პოეზია და რეალობა ერთმანეთისგან გამიჯნოს. პოეტური ის რაღაც „დამატებითია“, რაც მან თავად მოიყოლა. ამ დამატებითი პოეტური ელემენტის საშუალებით იგი სიამოვნებას რეალობაში არსებული პოეტური გარემო-ვითარებისაგან იღებს; შემდეგ ამას ის კვლავდაკვლავ, ხელახლა განიცდის და პოეტური რეფლექსიის ფორმაში აქცევს; ეს მეორე სიამოვნება იყო და საერთოდაც სიამოვნება არის ის, რაზეც მისი მთლიანი ცხოვრება იყო აგებული. პირველ შემთხვევაში ის ესთეტიკური ელემენტით პირადად დატკბა; მეორეში კი ესთეტიკურად თავისი პიროვნებით ტკბებოდა. პირველ შემთხვევაში მთავარი აზრი ის იყო, რომ მან პირადად, ეგოისტურად გაუსინჯა გემო იმას, რაც ნაწილობრივ რეალობამ მისცა და რითაც, თავის მხრივ, თავად შეავსო რეალობა; რაც შეეხება მეორე შემთხვევას, აქ მისი პიროვნება შეირყა და ისიც, როგორც ვითარებით, ამავედროულად, მასში მყოფი საკუ-

4. შესაძლოა, ამ სახელის არჩევის მიზეზი კირკეგორის ცოლის, რეგი-ნე ოლსენის, და გახდა, რომელსაც კორდელია ერქვა. აღსანიშნავია ისიც, რომ შექსპირის ტრაგედიაში კორდელია მეფე ლირის ყველაზე ახალგაზრდა, რჩეულ ქალიშვილსაც ჰქვია.

„აქტი“-ს მიერ გამოცემული სიორენ კირკემორის წიგნები

1. განმეორება
2. შიში და ძრწოლა
3. მაცდურის დღიურები
4. სატანჯველის სახარება
5. ან/ან: ნაწყვეტი ცხოვრებიდან